მართლმსაჯულების ტრანსფორმაცია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამართლებრივი მექანიზმებით

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა:
16 ივნისი, 2025

მართლმსაჯულების ტრანსფორმაცია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამართლებრივი მექანიზმებით

საზაფხულო სკოლა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

28 ივლისი - 1 აგვისტო, 2025

ორგანიზებულია ევროპის საბჭოს მიერ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

შესავალი

იურიდიულ პროფესიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მომავალ იურისტებს სჭირდებათ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები საერთაშორისო სტანდარტების ეფექტურად განსახორციელებლად. საქართველოში სამართლის სტუდენტებისთვის სწორედ აღნიშნული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით,

ევროპის საბჭო, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, აორგანიზებს 5-დღიან საზაფხულო სკოლას.

საზაფხულო სკოლის პროგრამა მიემართება სამართლებრივ მექანიზმებსა (როგორიცაა ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისა შესახებ - სტამბოლის კონვენცია) და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის არსებული ხარვეზის შევსებას. გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების საკანონმდებლო ჩარჩოები მზარდ გამოწვევებს აწყდება. შესაბამისად აუცილებელია იურიდიულ პროფესიაში ახალგაზრდა ლიდერების განვითარებაში ინვესტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული თანასწორობის პრინციპების თანმიმდევრული განვითარება.

პროგრამა

მონაწილეები შეისწავლიან გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მარეგულირებელ ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოებს, განსაკუთრებული აქცენტით ევროპის საბჭოს სტანდარტებზე, უპირველეს ყოვლისა, სტამბოლის კონვენციასა და მის იმპლემენტაციაზე საქართველოში. საზაფხულო სკოლის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ გენდერული ნიშნით ძალადობის სტრუქტურული მიზეზები, გააანალიზონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართალი და ყურადღება გაამახვილონ ისეთ ახალ გამოწვევებზე, როგორიცაა ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობა.

ძირითადი თემატური სფეროები:

- გენდერული თანასწორობის სტრუქტურული და სამართლებრივი საფუძვლები;
- სახელმწიფოს ვალდებულებები სტამბოლის კონვენციის ფარგლებში;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) მიგნებები და რეკომენდაციები საქართველოსთვის;
- მსხვერპლზე ორიენტირებული და ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში;
- ციფრულ სფეროში, ტექნოლოგიების გამოყენებით, ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობა, მათ შორის ციფრული მიზოგინიის (ქალთმოძულეობის) ანალიზი;
- საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სასამართლო დავები (SLAPP), რომლებიც მიმართულია გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა წინააღმდეგ;
- მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული ინტერსექციური გამოწვევები;
- სამართლებრივი ადვოკატირების უნარების განვითარება იმიტირებული სასამართლო პროცესში მონაწილეობით.

SLAPP საქმეები გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა წინააღმდეგ

პროგრამის ეს კომპონენტი მოიცავს საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიული სასამართლო დავების (SLAPP) მზარდ ფენომენს, რომელიც გამოიყენება გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა გასაჩუმებლად და დასაშინებლად. საზაფხულო სკოლის მონაწილეები ჩაერთვებიან იმ სამართლებრივი მექანიზმების ყოვლისმომცველ ანალიზში, რომლებიც გამოიყენება მსხვერპლთა ჩვენების წინააღმდეგ - მათ შორის ცილისწამების საქმეები და კონფიდენციალურობის მოთხოვნები. იმავდროულად, ისინი შეისწავლიან საეტაპო საქმეებს, სადაც დამნაშავეებმა გამოიყენეს სამართლებრივი საშუალებები იმ ძალადობა გამოვლილი ქალების წინააღმდეგ, რომლებიც საჯაროდ საუბრობენ მომხდარი ძალადობის შესახებ. მოდული მოიცავს მსხვერპლთა გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტრატეგიების შესწავლას, SLAPP საქმეების იდენტიფიცირებისა და გენდერულად მგრძნობიარე რეაგირების პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე, მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ განიხილონ ევროპის საბჭოს სტანდარტები მამხილებელთა დაცვის შესახებ, როგორც ეს გამოიყენება გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებში.

ინტერსექციური მოწყვლადობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

ეს მოდული განიხილავს იმ ინტერსექციურ დისკრიმინაციასა და ბარიერებს, რომელთაც აწყდებიან მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალები, რომლებიც ეძებენ სამართლებრივ საშუალებებს გენდერული ნიშნით ძალადობისგან დასაცავად. სასწავლო

პროგრამა ასევე მოიცავს კონკრეტულ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს და პროცედურული და გონივრული მისადაგების საკითხებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისთვის; კონკრეტული მოწყვლადობისა და სამართლებრივი გამოწვევების განხილვას არსებულ ჩარჩოებში ლგბტი ქალებისთვის; ინსტიტუციურ გარემოში, მათ შორის დაკავების იზოლატორში, ზრუნვის დაწესებულებებსა და სხვა დახურულ გარემოში მყოფი ქალების გაზრდილი მოწყვლადობის შეფასებას.

სამიზნე აუდიტორია

საზაფხულო სკოლა განკუთვნილია საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის სტუდენტებისთვის, კერძოდ, **ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (აპლიკაციის შევსების ეტაპზე),** რომლებიც გამოხატავენ ძლიერ ინტერესს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და საერთაშორისო სამართლის მიმართ. ფართო წარმომადგენლობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, მონაწილეები შეირჩევიან საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, მათ შორის თბილისის გარეთ მდებარე უნივერსიტეტებიდან.

ექსპერტები და მეთოდოლოგია

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი იურისტები, ვისაც გენდერული სამართლიანობის სფეროში ფართო გამოცდილება აქვთ. ასევე, იქნებიან ევროპის საბჭოს ექსპერტები მათ შორის წარმომადგენლები გენდერული თანასწორობის განყოფილებიდან. გარდა ამისა, საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული ლექტორები, რომლებიც სპეციალიზდებიან *ანტი-SLAPP* სამართალწარმოებაში და ადვოკატები, რომლებსაც აქვთ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალების საქმეებზე მუშაობის გამოცდილება.

საზაფხულო სკოლის პროგრამაში ინტეგრირებულია ინტერაქტიული სწავლების მეთოდები ზრდასრულთა სწავლების პრინციპების შესაბამისად, ვინაიდან პროგრამა აერთიანებს ექსპერტების მიერ წარმართულ დისკუსიებს პრაქტიკულ სავარჯიშოებთან, შემთხვევების ანალიზთან და თანატოლებისგან სწავლის აქტივობებთან.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ, მონაწილეები:

- დაეუფლებიან ნოვატორულ სამართლებრივ ჩარჩოებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- გააანალიზებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საეტაპო სასამართლო პრაქტიკას და სტამბოლის კონვენციის ტრანსფორმაციულ გავლენას;

- **გამოავლენენ და უპასუხებენ** საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიულ სასამართლო დავებს (SLAPP), რომლებიც მიზნად ისახავენ მსხვერპლთა წინააღმდეგ მიმართულ სამართლებრივ ქმედებებს;
- **განავითარებენ** ინტერსექციურ მიდგომებს სამართლებრივი ადვოკატირებისთვის მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისთვის;
- **გამოიყენებენ** ადვოკატირების განვითარებულ უნარებს ინტერაქტიული სემინარებისა და იმიტირებული სასამართლო სხდომების მეშვეობით;
- **დაუკავშირდებიან** ცნობილ საერთაშორისო ექსპერტებსა და პრაქტიკოს ადვოკატებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა სამართლის წინა ხაზზე არიან.

პრაქტიკული ინფორმაცია

საზაფხულო სკოლის თარიღები: **28 ივლისი - 1 აგვისტო, 2025**
მგზავრობის თარიღები:

- ჩასვლა ადგილზე: 27 ივლისი, 2025
- გამგზავრება ადგილიდან: 2 აგვისტო, 2025

ადგილმდებარეობა: თბილისის გარეთ, საქართველო (ზუსტი ადგილმდებარეობა ეცნობებათ შერჩეულ კანდიდატებს)

- ენა: ქართული (უზრუნველყოფილი იქნება თანმიმდევრული თარგმანი ქართულ ენაზე იმ სესიებისთვის, რომლებსაც გაუძღვებიან საერთაშორისო ექსპერტები ინგლისურ ენაზე).

შერჩევის პროცესი:

განაცხადების მიღების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე და გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს უნივერსიტეტებში. აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ყოვლისმომცველი CV, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი მათი აკადემიური განათლება, შესაბამისი გამოცდილება და ადამიანის უფლებებთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პროგრამის მიღმა არსებული აქტივობები. გარდა ამისა, კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 500 სიტყვა), რომელშიც ახსნილი იქნება მათი ინტერესი საზაფხულო სკოლის პროგრამის მიმართ, შესაბამისი გამოცდილება და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აპირებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას. აპლიკანტებმა ასევე უნდა წარმოადგინონ უნივერსიტეტის ლექტორის ერთი სარეკომენდაციო წერილი, რომელიც დაადასტურებს მათ აკადემიურ შესაძლებლობებსა და გენდერული თანასწორობის პრინციპებისადმი მათ დაინტერესებას. შეფასების პროცესის შემდეგ, შეირჩევა 20 მონაწილე მათი აკადემიური მოსწრებისა და პროგრამის მიმართ გამოხატული ინტერესის საფუძველზე.

ფინანსური მხარდაჭერა:

მონაწილეობისთვის საჭირო ყველანაირი ხარჯი დაიფარება ევროპის საბჭოს მიერ, კერძოდ, მგზავრობა, საცხოვრებელი და კვება. *საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.*

სერტიფიკატი: საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილე მიიღებს სერტიფიკატს პროგრამაში მათი ჩართულობისა და წვლილის აღსანიშნავად.

ტრენინგი და პრაქტიკული გამოყენება:

საზაფხულო სკოლის შემდეგ, მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, მათ შორის *"street law"* ინიციატივებში - თემზე დაფუძნებული სამართლებრივი განათლების პროგრამებში, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების შესახებ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას მარტივი, პრაქტიკული და ხელმისაწვდომი ტრენინგების მეშვეობით.

თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების ეს კომბინაცია მოამზადებს მონაწილეებს, რომ შეიმუშაონ და ჩაატარონ სამართლებრივი განათლების სესიები გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ თავიანთ თემებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილე ასევე შეძლებს გაიაროს სპეციალური ტრენერთა ტრენინგი (ToT) იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარონ ეფექტური საზოგადოებრივი ტრენინგები კონკრეტულად გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ.

აკადემიური პუბლიკაციის შესაძლებლობა: საზაფხულო სკოლის 20 მონაწილეს შორის, ხუთი მონაწილე შეირჩევა აკადემიური მენტორობის პროგრამისთვის, რათა მოამზადონ სამეცნიერო სტატიები გენდერული სამართლიანობის თემებზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალის სპეციალური გამოცემისთვის. მენტორობის პროგრამა განხორციელდება 2025 წლის სექტემბრის თვიდან ნოემბრის თვემდე. შერჩეულ სტუდენტებ მენტორობას გაუწევენ სფეროს გამოცდილი წარმომადგენლები.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2025 წლის 16 ივნისი, 23:59 (თბილისის დრო). ვადის გასვლის შემდეგ მიღებული ნებისმიერი განაცხადი ავტომატურად უარყოფილი იქნება.

ყველა განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე **Genderequality.georgia@coe.int** სათაურით (with the subject) **„საზაფხულო სკოლა სამართლის სტუდენტებისთვის 2025".**

ორგანიზებულია ევროპის საბჭოს პროექტის "გენდერული თანასწორობის განმტკიცება და GREVIO-ს რეკომენდაციების იმპლემენტაცია საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად" ფარგლებში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროექტი საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია.